თანგის დინასტიის სამხედრო რეფორმებისა და იმპერიის დაღმასვლის ურთიერთკავშირები

გიორგი ჭიღლაძე
ისტორიკოსი, სინოლოგი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, ჩინეთის კვლევების კავკასიური
ასოციაციის წევრი.
+995591703440. giorgi.chighladze650@hum.tsu.edu.ge
https://orcid.org/0009-0006-8318-4053

აბსტრაქტი

VIII საუკუნის პირველი ნახევარი არა მარტო თანგის დინასტიის ზეობის მწვერვალს წარმოადგენს, არამედ ხშირად მიჩნეულია, როგორც ჩინეთის ოქროს ხანადაც. თუმცა მწვერვალს ყოველთვის მოჰყვება დაღმასვლა, რაც თანგის დინასტიის შემთხვევაში საუკუნის II ნახევრიდან იწყება. რა გახდა ამის მთავარი მიზეზი? ამის პასუხი ერთი შეხედვით ძალიან მარტივია, თუ შევხედავთ ჩვენს მიერ ნახსენებ საკვანძო პერიოდს. ეს იყო ან ლუშანის აჯანყება (756-762), რომელიც დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან და დამანგრეველ მოვლენად ითვლება ჩინეთის ისტორიაში.

თუმცა ან ლუშანის აჯანყება რეალურად მხოლოდ საბოლოო გამოვლინება იყო იმ გადაუჭრელი პრობლემებისა, რომლებიც იმპერიას თან სდევდა ათეულობით წლების განმავლობაში

და საბოლოოდ მისი შეუქცევადი დაღმასვლის პროცესიც გამოიწვია. საკითხის ძირეულად გამოსაკვლევად საჭიროა თითოეული პრობლემა გაშლილი იყოს და კარგად გაანალიზებული, რათა ნათელი გახდეს მათი სიმწვავე და მნიშვნელობა.

დიდი ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ მთავარი მიზეზი თანგის დინასტიის დაქვეითებისა VIII საუკუნეში გატარებული სამხედრო რეფორმები იყო, რომელმაც ხელი შეუწყო აჯანყების დაწყებას. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმ 20 წლიან პერიოდს, როდესაც იმპერატორი სუენწუნგი აჯანყების მოხდენამდე თითქმის მთლიანად ჩამოშორდა იმპერიის საკითხების მოგვარების პროცესს. ამან, გარდა იმისა, რომ დაასუსტა იმპერატორის ინსტიტუტი, ასევე ხელი შეუწყო შიდა ფრაქციების შექმნას, რომელიც თანდათან ძლიერდებოდნენ.

სტატია ყურადღებას ამახვილებს „მიწის თანაბრად გადანაწილების სისტემის“ რღვევის პროცესსა და მისი ზოგად გავლენაზე. აღნიშნული სისტემა იმპერიის VII საუკუნის I ნახევრიდან თანგის იმპერიის სამხედრო და ეკონომიკური სტრუქტურის დასაყრდენი იყო. ამასთანავე, ეს პროცესი გახდა სხვა უფრო ღრმა ცვლილების მიზეზი ჩინეთის ისტორიაში, რაც თავისუფალი გლეხობის ფენის გაქრობაში გამოიხატა.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო რეფორმები, ან ლუშანის აჯანყება, თანგის დინასტია, ფუპინგი, მიწების თანაბრად გადანაწილების სისტემა.

შესავალი

თანგის დინასტიამ (618-907) არა მხოლოდ გააერთიანა დაშლილი ჩინეთი, ასევე მრავალი ლაშქრობები მოაწყო შუა აზიის ტერიტორიაზე. ეს ლაშქრობები კი აბრეშუმის გზის მართვასთან ერთად, იმპერიის ტერიტორიებსაც ზრდიდა. თანგის

იმპერიამ ძლიერების პიკს იმპერატორ სუენწუნგის (712 - 756) დროს მიაღწია. თუმცა ასევე მის მმართველობის ბოლო 20 წელი იყო დინასტიისთვის გარდამავალი პერიოდი, რამაც საბოლოოდ გამოიწვია თანგის ოქროს ხანის დასასრული. გარდამავალი პერიოდი დაასრულა ან ლუშანის აჯანყებამ (755 – 762) რომელმაც თითქმის მთლიანად ჩამოშალა თანგის დინასტია. საიმპერატორო კარზე კრიზისმა, საგარეო წნეხმა, ახალმა სამხედრო სისტემამ და სხვა გარემო პირობებმა სარდალ ან ლუშანს მისცა ისეთი ძალა, რომ იგი თვით იმპერატორს აუჯანყდა (Denis Twitchett, John Feirbank (1979). The Cambridge History of China. volum 3, 589-906, part 1. Cambridge University Press:150).

აღნიშნული სტატიის საკვლევი პერიოდი სწორედ ზემოთ ნახსენებ გარდამავალ პერიოდს მოიცავს. კერძოდ, უნდა აიხსნას რას წარმოადგენდა იმპერატორი სუენწუნგის დროს გატარებულ სამხედრო რეფორმები და რა დოზით იქონია ამ რეფორმებმა იმპერიის დაღმასვლაზე გავლენა. სწორედ ამ მთავარ საკითხებზე დაყრდნობით მივდივართ კვლევის მთავარ საკითხთან: პირველი, რა გახდა მთავარი მიზეზი იმპერიაში სამხედრო რეფორმებისა? მეორე, რა გავლენა იქონია აღნიშნულმა სამხედრო რეფორმებმა ან ლუშანის აჯანყების დაწყებაზე? მესამე, იყო თუ არა სამხედრო რეფორმები იმპერიის დაღმასვლის მთავარი მიზეზი?

აღნიშნული საკითხის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი უცხოური სამეცნიერო ნაშრომი მოიძიება, რომლებიც სხვადასხვა რაკურსით განიხილავენ წამოჭრილ პრობლემებს. ამის ნათელი მაგალითებია ედვინ ფულიბლენქის „ანლუშანის აჯანყების წინაპირობები“, კემბრიჯის ჩინეთის ისტორია (მესამე თავი), და სხვა.

მეთოდები

სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია უმთავრესად, ქართული, ჩინური და ინგლისურ ენოვან წყაროებს ეფუძნება. სტატიაში ასევე გამოყენებულია შედარებითი ანალიზი.

შედეგები

აღნიშნული საკითხის შესახებ მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში არაერთი კვლევა არსებობს. სტატია ცდილობს ახალი კუთხით წარმოაჩინოს გარდამავალი პერიოდი თანგის დინასტიის ისტორიაში, ამასთანავე წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ჩინეთის შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის მიმართულებით.

მსჯელობა

თანგის დინასტიის დაღმასვლის მიზეზები

მე-7 საუკუნის თანგის დინასტიის წარმატებული სამხედრო კამპანიები უმთავრესად ფუპინგის სამხედრო სისტემას (府兵 - fǔbīng) ემყარებოდა, რომელიც ჩრდილოეთ (386-535) ვეის დინასტიაში ჩამოყალიბდა და სუეის დიასტიის (581-618) პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა (Ranitzsch, Karl Heinz (1995). The army of Tang China:10).

ფუპინგის არმიაში მსახურების ვალდებულება ჰქონდათ თავისუფალ გლეხებს 20-დან 60 წლამდე, რომლებიც მიწას სახელმწიფოსაგან იღებდნენ „მიწის თანაბრად გადანაწილების სისტემის" მეშვეობით. ამ სისტემაში შემავალი მეომრები დროდადრო მსახურობდნენ სასაზღვრო ზოლზე, საიმპერატორო კარზე, დედაქალაქში, ან თავიანთ კუთვნილ მიწებს ამუშავებდნენ (于汝波，杨希义(1997)). 唐朝论略.军事历史研究:83). თავისუფალი გლეხები, რომლებიც იმპერატორის მიერ ბოძებულ მიწას ფლობდნენ და ვალდებულები იყვნენ საჭიროების შემთხვევაში იმპერა-

ტორის ბრძანების მიხედვით ებრძოლათ (张 涛 (2021)杜燚博.唐朝兵役制度和后勤制度变迁下的军事审计. 期 国 防 科 技.:136).

ფუპინგის პრინციპზე ჩამოყალიბებული არმიის უპირატესობა წინასწარ დაგეგმილი კამპანიების წარმოება იყო. იმის გამო, რომ ფუპინგის მეომრებს მიწები უმთავრესად დედაქალაქის გარშემო პროვინციებში ურიგდებოდათ, მათი მობილიზება მარტივი იყო. მე-6 საუკუნის ბოლო პერიოდამდე იმპერიის მთავარი მეტოქეები მომთაბარე თურქმანული ტომები იყო, რომელთა უეცარი შემოჭრა იმპერიას დიდ ზარალს აყენებდა. ამის საწინააღმდეგოდ კი იმპერატორი თანგ თაიწუნგის დროს მრავალი წერტილოვანი დარტყმები, ლაშქრობები მოეწყო. შედეგად კი ფუპინგის არმიამ დაამარცხა და დაშალა აღმოსავლეთ და დასავლეთ თურქთა სახაკანობეი. აღნიშნული გამარჯვებები დიდი მოტივაცია იყო მეომრებისთვის იმის გამოც, რომ ჯარში მეომრების დაწინაურება დამსახურების მიხედვით ხდებოდა. თავისუფალი გლეხებისთვის სამხედრო კარიერა გზა იყო კარგი შემოსავლისა და შესაძლო სოციალური სტატუსის ამაღლებისათვის. მსგავსი წარმატებისა და დიდების მიზეზით უერთდებოდა დიდგვაროვანთა კლასიც ფუპინგის არმიას. (Newark, Tim (1961). Warlords : ancient, Celtic, medieval: 339// Umair Mirza (2012). China At War - An Encyclopedia. გვ. 4; 江增慶 (2005). 中國通史綱要.: 286).

მიუხედავად ფუპინგის სისტემის მსგავსი წარმატებისა, --- წელს მაინც განხორციელდა სამხედრო რეფორმა. რა გახდა მიზეზი რეფორმისა, როდესაც არსებული სისტემის წყალობით შესანიშნავი სამხედრო წარმატებები იქნა მიღწეული?

პირველი, უნდა განვიხილოთ მოსაზრება ჭარბი მოსახლეობის შესახებ. ისტორიკოსები თანგის VIII საუკუნის შუა ხანების კრიზისის განხილვისას ხშირად ამახვილებენ ყურადღებას იმპერიის მოსახლეობის დიდ რაოდენობაზე, რომელსაც ქვეყნის

არსებული ეკონომიკური სისტემა ვეღარ აკმაყოფილებდა. იმპერიაში საკმარისი დასამუშავებელი მიწები არ იყო, გაზრდილი მოსახლეობის ფონზე კი, საჭირო საკვების მოხმარების რაოდენობა კოლოსალურად გაიზარდა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ეს კი მნიშვნელოვან ეკონომიკურ საფრთხეს ქმნიდა, რამაც საბოლოოდ თავის მხრივ ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმპერიაში დიდი ცვლილებების დაწყებას (Cotterell, Arthur (1975). China: an integrated study:99 // Dawson, Raymond Stanley (1976). Imperial China: 97). თუმცა ამავე მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არსებული მონაცემების მიხედვით ჩინეთში მოსახლეობის მკვეთრი ზრდა დაახლოებით ნახევარ საუკუნის ჭრილში მოხდა და პიკს VIII საუკუნის შუა პერიოდში მიაღწია (დაახ. 90 მილიონი). მაშინ როდესაც ფუპინგის სისტემაში მნიშვნელოვანი პრობლემები იქამდეც ნათელი იყო. იმპერიამ VII საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე მნიშვნელოვან დაპირისპირებებში განიცადა მარცხი და დიდი წნეხის ქვეშ იყო.

სამხედრო რეფორმების დაწყებას ისტორიკოსების ნაწილი ასევე უკავშირებენ „მიწების თანაბრად გადანაწილების სისტემის“ რღვევას. VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისში იმპერიაში მზარდმა კორუფციამ და დაბალ ფენებზე მომატებულმა გადასახადებმა აღნიშნული თავისუფალი გლეხობა თანდათან აიძულა დაეტოვებინათ ან დიდი მიწათმფლობელებისთვის გადაეცათ თავიანთი მიწები. საბოლოოდ კი გაქცეული და თავიანთი მიწიდან აყრილი გლეხობა დიდი მიწების მფლობელ გამდიდრებულ ფენასთან მუშაობდნენ, როგორც დაქირავებული მუშა. ამ ტენდენციამ ძალიან დიდი გავლენა იქონია იმპერიაზე. პირველი ის, რომ ეს გლეხები კარგავდნენ თავისუფალი გლეხის სტატუსს, ისინი გადასახადს თავიანთ დამსაქმებელს უხდიდნენ და არა სახელმწიფოს. ამასთანავე მათ აღარ უწევდათ სამხედრო სამსახური, რაც ფუპინგის არმიას VII

საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ასუსტებდა (Dawson, Raymond Stanley (1976). Imperial China. გვ. 97 // Rodzinski, Witold (1979). A history of China:127).

აღნიშნული მოსაზრება აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ კონტრარგუმენტიც. „მიწის თანაბრად გადანაწილების სისტემის“ რღვევა და თავისუფალი გლეხთა ფენის ჩამოშლა რამდენიმე ათწლეულში არ მომხდარა. პროცესი საუკუნეზე მეტი გაგრძელდა და უფრო დაჩქარდა ან ლუშანის აჯანყების შემდეგ, ვიდრე ეს აჯანყებამდე ხდებოდა. მიუხედავად გაღრმავებული კორუფციისა, მიწების უკანონოდ მიტაცებისა და სხვა, მდგომარეობა არ იყო ისეთი კატასტროფული, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული აფეთქების პერიოდში იმპერიას საჭირო რაოდენობის მეომრები ვერ შეეგროვებინა.

მესამე და ხშირად ნახსენები გარემოება სამხედრო რეფორმების განხილვისას სახელდება გარე ძალების ზეწოლა იმპერიაზე. ერთის მხრივ თანგის დინასტიას VII საუკუნის ბოლოს უფრო მეტი ძლიერი მეზობელი ჰყავდა, ვიდრე წინა პერიოდებში. ესენი იყვნენ არაბები და ტიბეტის იმპერია დასავლეთით, თურქული ტომები ჩრდილოეთით და ნანჩაო სამხრეთით (VIII - IX საუკუნეში თანამედროვე ჩინეთის სამხრეთ ნაწილში არსებული სამეფო)(Rodzinski, Witold (1979). A history of China: 127). ამასთანავე, ნაცვლად მხოლოდ მომთაბარე თურქმანული ტომებისა, რომელთა განეიტრალება ფუპინგის წერტილოვანი დარტყმებით შედარებით მარტივად შეეძლოთ, VII საუკუნის ბოლო პერიოდიდან სრულიად ახალი სახის მეტოქეები გამოჩნდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ძალებზე, როგორებიც იყვნენ ტიბეტის იმპერია და არაბთა სახალიფო. მსგავსი სიმძლავრის იმპერიების მოგერიება, რამდენიმე ბრძოლაში გამარჯვებით ვერ მოხერხდებოდა. (Jacques Gernet (2002). A History of Chinese Civilisation, volume I. :255).

მსგავსი შესაძლებლობების იმპერიების პირისპირ ფუპინგის ტიპის არმიის გამოყენება რთული საკითხი იყო. ეს გამოწვეული იყო მისი სპეციფიკით. VII საუკუნეში თანგის იმპერიის მთავარი შიდა სამხედრო ინტერესი ცენტრის გაძლიერება იყო, რათა იმპერატორს ახალ გაერთიანებული იმპერია უფრო მარტივად ემართა. ამიტომაც მიწებს მეომრებზე დედაქალაქის გარშემო პროვინციებში გასცემდნენ და მათი სურვილიც ეს იყო, აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული. (Pulleyblank, Edwin G (1982). The background of the rebellion of An Lu-shan // Umair Mirza (2012). China At War - An Encyclopedia.: 4). იმპერიის არსებობის საწყის ეტაპზე ფუპინგის სისტემაზე დამყარებული არმია ძალიან ხელსაყრელი იყო, იმდენად რამდენადაც ასეთი ჯარი შესანახად ნაკლებ ხარჯს მოითხოვდა, ეფექტური იყო და ამასთანავე იმპერატორის ერთგული. თუმცა ამის ხარჯზე, ახალი ძლიერი მეზობელი ძალების გამოჩენისას იმპერიის გაზრდილი საზღვრები დაუცველი რჩებოდა. ფუპინგის მეომრებისთვის კი არ არსებობდა მოტივაცია იმპერიის ცენტრიდან დაშორებული საზღვრებისთვის ედარაჯათ.

აღნიშნული მიზეზის გამო იმპერატორმა საბოლოოდ გადაწყვიტა ფუპინგის რეზერვისტული ჯარის ნაცვლად ძლიერი რეგულარული არმია შეექმნა, ასევე ცნობილი, როგორც დაქირავებული არმია (募兵制). ახალი ტიპის არმია გენერალ-გუბერნატორების სისტემით იმართებოდა. გენერალ-გუბერნატორს ჰქონდა სრული კონტროლი მის სადროშოში შემავალ არმიაზე, რათა სწრაფად მოეხდინა რეაგირება ნებისმიერ საფრთხეზე დროულად რეაგირებისთვის. ისინი განაგებდნენ იმპერიის 10 საზღვრისპირა პროვინციასა და ნახევარ მილიონიან არმიას (მარინე ჯიბლაძე (2022). ჩინეთის ისტორია. ოქროს საწმისი. თბილისი).

ზემოთ მოტანილი მოსაზრებებისა და არგუმენტების გააზრების შედეგად, აშკარაა, რომ მთავარი გავლენა სამხედრო რე-

ფორმების დასაწყებად იმპერიის გარედან მომავალმა წნეხმა იქონია. იმპერია უმთავრესად გადასული იყო საზღვრების დაცვასა და შენარჩუნებაზე, ვიდრე გაზრდაზე. ამისთვის კი საჭირო იყო მუდმივი, პროფესიონალური არმია. ამასთანავე დასუსტების გზაზე მყოფი ფუპინგის არმია ვეღარ პასუხობდა იმპერიის მოთხოვნილებებს.

მეორე განსახილველი საკითხია, რა გავლენა იქონია აღნიშნულმა სამხედრო რეფორმებმა 755 წლის ან ლუშანის აჯანყების დაწყებაზე? იყო თუ არა რეფორმები აჯანყების მთავარი განმაპირობებელი? თუმცა უშუალოდ საკითხის განხილვამდე, საჭირო მცირედით ვისაუბროთ ან ლუშანზე და მის მიერ დაწყებულ აჯანყებაზე.

ან ლუშანი სავარაუდოდ თურქული წარმოშობის იყო, რომელიც ჩინური წყაროების მიხედვით გენერალი ჭანგ შოუკუეის გამგებლობაში მყოფ თანგის არმიას 732 წელს შეუერთდა. თავისი გამჭრიახობით, მოხერხებულობითა და სიმამაცით იგი არა მხოლოდ მალე დაწინაურდა, გენერლის შვილობილიც კი გახდა. ან ლუშანმა გონება მახვილობა გამოიჩინა საიმპერატორო კარზეც. მან საჭირო მოკავშირეები გაიჩინა, საწყისში კანცლერი ლი ლინგფუს, ხოლო შემდეგ ასევე იანგ კუეიფეის სახით, ასევე შეძლო იმპერატორი სუენწუნგის ნდობის მოპოვებაც. 751 წელს ან ლუშანი უკვე სამი ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციის გენერალ გუბერნატორი იყო (罗水荣 (2010). 安禄山和唐玄. 华南师范大学历史文化学院，广东广州.: 88). თუმცა ან ლუშანსა და ახალ კანცლერ იანგ კუოჭუნგს შორის მწვავე დაპირისპირებამ, გენერალ-გუბერნატორი თანდათან დააშორა საიმპერატორო კარს. ამის შემდეგ კი თუმცა, ისტორიკოსთა ნაწილი სამხედრო რეფორმების ნაცვლად, უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ ან ლუშანის უცხო, თურქულ წარმოშობასა და მის გარშემო შემოკრებილი მრავალი უცხო ტომელისგან დაკომპლექტებულ პირ-

ად ჯარზე. ზოგადად უცხო ტომელების დაწინაურება თანგის სამხედრო სივრცეში ახალი ნამდვილად არ იყო და დინასტიას ამის ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა. თუმცა იმპერატორი სუენწუნგის დროს ამ ტენდენცია გაცილებით ფართო სახე ჰქონდა. ამის მთავარი ინიციატორი კანცლერი ლი ლინგფუ იყო, რომელსაც 736 - 752 წლებში ფაქტობრივად იმპერიის მართვის სადავეები ეპყრა ხელში. მან ერთის მხრივ მაქსიმალურად ჩამოიცილა პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, შემდეგ სამხედრო სისტემაში უცხო ტომელები დააწინაურა, რათა ამ უკანასკნელთ მის გარდა საიმპერატორო კარზე სხვა დასაყრდენი არ ჰქონოდათ (Devid R. Petriello (2016). General military history of China.: 259-260). აღნიშნული მოსაზრება გათვალისწინებას ნამდვილად იმსახურებს, თუმცა რთულია აჯანყების მთავარ მიზეზად ან ლუშანისა და მისი თანამზრახველების უცხო წარმოშობა მივიჩნიოთ. ისტორიაში არაერთი მაგალითია იმისა, რომ საკმარისი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, პიროვნების ამბიციები უფრო მნიშვნელოვანი იყო აჯანყების განმაპირობებელი, ვიდრე მისი წარმოშობა.

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ VIII საუკუნის პირველი ნახევრის თანგის იმპერიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რამაც თავისი დიდი წვლილი შეიტანა ან ლუშანის აჯანყების დაწყებასა და ასევე იმპერიის დასუსტებაში, იყო იმპერატორ სუენწუნგის მიერ იმპერიის მართვის ბერკეტების ხელიდან გაშვება. მმართველობის ბოლო ოცი წლის განმავლობაში (736 – 755) სუენწუნგი თითქმის მთლიანად ჩამოშორდა იმპერიის მართვას და პირად ცხოვრებაზე გადაერთო (Mark Edward Lewis (2009). CHINA'S COSMOPOLITAN EMPIRE. the belknap press of harvard university London. 2009). ისტორიკოსები ხშირად წერენ იმ გავლენაზე, რაც ხარჭა იანგ კუეიფეის ჰქონდა იმპერატორზე და ზოგადად საიმპერატორო კარზე. ამას მალე მოჰყვა იმპერიის მას-

შტაბით სხვადასხვა ფრაქციების შექმნა. 736 წლიდან კანცლერი დედაქალაქსა და მის გარშემო ტერიტორიებს თითქმის ერთ-პიროვნულად განაგებდა (ჯერ ლი ლინფუ, ხოლო შემდეგ იანგ კუოჭუნგ). ასევე შეიქნა გენერალ-გუბერნატორების თანამდებ-ობა, რომელიც სრულიად განაგებდა სამხედრო საქმეს სასაზ-ღვრო ზოლზე, მათ ემორჩილებოდა ზემოთ ნახსენები ახალი ტიპის რეგულარული არმია. მალევე გენერალ-გუბერნატორებმა სამოქალაქო საქმის შეთავსებაც დაიწყეს. ეს უკანასკნელი ცვლ-ილება განსაკუთრებით არ მოსწონდათ და საშიშად მიაჩნდათ დედაქალაქში (მარინე ჯიბლაძე (2022). ჩინეთის ისტორია. ოქ-როს საწმისი. თბილისი).

საბოლოოდ ეს უკმაყოფილება იანგ კუოჭუნგსა და ან ლუ-შანს შორის არსებულ 752 წლიდან დაწყებული დაპირისპირე-ბაში გადაიზარდა. ახალი კანცლერი საიმპერატორო კარზე ძალ-აუფლების მის ხელში კონცენტრაცისთვის გაძლიერებულ ან ლუშანს მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევდა. დაძაბულობამ პიკს 755 წელს მიაღწია, როდესაც იანგ კუოჭუნგმა დედაქალაქში ან ლუშანის მხარდამჭერ მაღალჩინოსანთა დაკავება და დასჯა და-იწყო. ამის შემდეგ კი ან ლუშანმა მალევე დაიწყო აჯანყება, წარ-მატებით დაიკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 756 წელს კი დედაქალაქიც კი აიღო. (Cotterell, Arthur (1975). China: an integrated study.:97-98 // Umair Mirza (2012). China At War - An Encyclopedia.:4 // 子陌 (2021). 唐朝其实很有趣. 北京.: 87).

მოსაზრება საიმპერატორო კარის შიდა დაპირისპირების შესახებ ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. თუმცა აღნიშნული მოსაზრების შესახებ ერთი მნიშვნელოვანი კონტ-რარგუმენტი უნდა დასახელდეს. რომ არა ის ძალაუფლება რაც სამხედრო რეფორმების შედეგად გენერალ-გუბერნატორებს მიე-ნიჭათ, დაპირისპირება იანგ კუოჭუნგსა და ან ლუშანს შორის

ვერანაირად ვერ მოხდებოდა. ფუპინგის სისტემის არსებობის პერიოდში შეუძლებელი იყო მსგავსი ძალაუფლების პირის სამხედრო პირის არსებობა, რადგან არმია უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა.

ან ლუშანის აჯანყების შემსწავლელი აკადემიური წრის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ სამხედრო რეფორმები იყო მთავარი კატალიზატორი აჯანყებისა. რეფორმებმა მისცა ან ლუშანს შესაძლებლობა, რომ მისი პირადი ერთგული არმია შეექმნა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა აჯანყების წამოწყება (Newark, Tim (1961). Warlords: ancient, Celtic, medieval: 340 / Harold M. Tanner (2010). China: A History (Volume 1). From Neolithic Cultures Through the Great Qing Empire, (10,000 BCE - 1799 CE).: 192) რეფორმების შედეგად იმპერიის ცენტრის სამხედრო პოტენციალი ძლიერ დასუსტდა, რადგან რეგულარული არმია გარე საფრთხის გამო, სასაზღვრო ზონებზე იყო განლაგებული, ხოლო ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ფუპინგის არმია კი თითქმის გაუქმდა (Denis Twitchett, John Feirbank. The Cambridge History of China. volum 3.589-906, part 1. 1979: 562).

აღნიშნული მოსაზრებებისა და ფაქტების გათვალისწინებით შესაძლოა ითქვას, რომ სწორედ სამხედრო რეფორმები იყო ან ლუშანის აჯანყების მთავარი მიზეზი. რომ არა რეფორმები ან ლუშანი ვერასდროს შეძლებდა იმ ძალაუფლების მოხვეჭას, რომელმაც მას აჯანყების საშუალება და ამბიცია გაუჩინა. მის ხელში უკვე იყო 3 მთავარი სასაზღვრო პროვინციის არმია, რომელიც უშუალოდ მის ბრძანებას ემორჩილებოდა. იგი განაგებდა ამ პროვინციების არა მხოლოდ სამხედრო, ასევე საერო საქმიანობასაც. შესაძლოა, რომ არა მძაფრი დაპირისპირება იანგ კუოჭუნგთან, ან ლუშანს არასდროს დაეწყო აჯანყება, თუმცა მსგავსი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო მოხელე ადრე თუ

გვიან მაინც გახდებოდა დიდი პრობლემის შემქმნელი იმპერიისთვის.

სტატიის ბოლო განსახილველი საკითხია, იყო თუ არა ან ლუშანის აჯანყება თანგის დინასტიის დასუსტების მთავარი მიზეზი. საინტერესოა, რომ ისტორიკოსთა დიდ ნაწილს ამ საკითხზე მსგავსი მოსაზრება აქვთ. მათ შეხედულებით სწორედ აჯანყება იყო თანგის იმპერიისთვის ის ქვაკუთხედი, რომლის შემდეგაც მან წამოდგომა და ძველი დიდების დაბრუნება ვეღარასდრო შეძლო (Newark, Tim (1961). Warlords: ancient, Celtic, medieval:351). ხშირ შემთხვევაში ან ლუშანის აჯანყებასა და საიმპერატორო კარის მიერ აჯანყების ჩასახშობად გატარებულ რადიკალურ რეფორმებს ერთ წრეში აქცევენ და ერთ პრობლემად განიხილავენ. ამ რადიკალურ ქმედებებში შედიოდა მაღალჩინოსანი სამხედროების მიმართ ნდობის შემცირების ფონზე საიმპერატორო კარის მიერ დაშვებული სამხედრო შეცდომები, დასახმარებლად უიღურების, ტიბეტელების მოწვევა, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გზად ჩინურ ქალაქებს არბევდნენ (J. Peers, Michael Perry (1995). Imperial Chinese Armies 590 - 1260 AD:10).

თუმცა ჩემი მოსაზრებით, რეალური მიზეზუ სრულიად სხვა გარემოება იყო. სტატიაზე მუშაობის პროცესში ჩამომიყალიბდა შეხედულება, რომ თანგის იმპერიის დასუსტების მთავარი მიზეზი „მიწის თანაბრად გადანაწილების სისტემის" ჩამოშლა და თავისუფალი გლეხთა კლასის გაქრობა იყო. ეს ორი მოვლენა ერთანეთზე იყო გადაჯაჭვული და ამიტომაც უმჯობესია მათი ერთ პრობლემად განხილვა.

ძველი არისტოკრატიული საგვარეულოები, რომლებიც თავის დროზე უ წეთიენის მმართველობის პერიოდში საგრძნობლად დასუსტდნენ, იმპერატორი სუენწუნგის დროს თანდათან მოძლიერდნენ. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა ლი ლინგფუს კანცლერობის პერიოდში (ჯიბლაძე მ. (2022). ჩინ-

ეთის ისტორია. ოქროს საწმისი: 288). სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად, იმპერიაში მოძლიერებულმა კორუფციას და ზედა ფენების მიერ გლეხების მიწების მიტაცებას უმალ მოჰყვა თავისუფალ გლეხთა ფენის ჩამოშლა. ამას კი მოჰყვა დომინოს ეფექტით მოვლენების ისე წარმართვა, როგორც შემდეგ განვითარდა. სისტემა, რომელიც ვეღარ აკონტროლებდა თავისი მაღალი ფენის სიხარბესა და ამბიციებს განწირული იყო ადრე თუ გვიან ჩამოსაშლელად. საიმპერატორო კარს ძალა აღარ შესწევდა ან ლუშანის აჯანყების შემდეგ იმპერიის პერიფერიებში გაძლიერებული დიდგვაროვნების ისე გაკონტროლება, როგორც ეს VII საუკუნეში შეეძლო.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თანგის დინასტიის სამხედრო რეფორმები მჭიდროდ უკავშირდება იმპერიის დაღმასვლას. თუმცა, ჩვენი აზრით, რეფორმები არ იყო იმპერიის შეუქცევადი დაღმასვლის პროცესის მთავარი გამომწვევი მიზეზი. სამხედრო რეფორმებმა დიდ წილად განაპირობა ან ლუშანის აჯანყება, თუმცა ორივე ეს ისტორიული მოვლენა, თავის მხრივ განპირობებული იყო თანგის დინასტიაში განვითარებული სხვა პროცესით. ეს იყო საზოგადოების ფენების ცვლილება. იმპერიაში გაჩნდა გამდიდრებული, დიდი მიწების მფლობელი დიდგვაროვნების ფენა. ამის ფონზე VII-VIII საუკუნეებში დაიწყო თავისუფალ გლეხთა ფენის დასუსტება. თანგის საიმპერატორო კარმა კი ამ ცვლილებებს სათანადოდ ვერ უპასუხა და საჭირო რეფორმები ვერ გაატარა. სწორედ ეს პროცესი გამოდგა მთავარი სირთულე, რომელიც არა თუ შეჩერდა, არამედ XI-XII საუკუნეებამდე გაგრძელდა, მანამ სანამ თავისუფალ გლეხთა ფენამ არსებობა არ შეწყვიტა.

ბიბლიოგრაფია:

ჯიბლაძე, მ. (მთ.რედ.). (2022). *ჩინეთის ისტორია.* ოქროს საწ-მისი.

Cotterell, A. (1975). *China: An integrated study.* Chambers Harrap Publishers Ltd.

Dawson, R. S. (1976). *Imperial China.* Penguin Books.

Twitchett, D., & Fairbank, J. (Eds.). (1979). *The Cambridge history of China* (Vol. 3, 589–906, Part 1). Cambridge University Press.

Petriello, D. R. (2016). *General military history of China.* Westholme Publishing.

Harris, N. (1937). *Hamlyn history of imperial China.* Hamlyn Publishing.

Tanner, H. M. (2010). *China: A history* (Vol. 1). From Neolithic cultures through the Great Qing Empire (10,000 BCE – 1799 CE). Hackett Publishing Company.

Peers, J., & Perry, M. (1995). *Imperial Chinese armies 590–1260 AD.* Osprey Publishing.

Gernet, J. (2002). *A history of Chinese civilisation* (Vol. I). The Folio Society.

Lewis, M. E. (2009). *China's cosmopolitan empire:* The Tang dynasty. The Belknap Press of Harvard University Press.

Newark, T. (1961). *Warlords: Ancient,* Celtic, medieval. Arms & Armour.

Pulleyblank, E. G. (1982). *The background of the rebellion of An Lu-shan.* Oxford University Press.

Ranitzsch, K. H. (1995). *The army of Tang China.* Montvert Publications.

Rodzinski, W. (1979). *A history of China.* Pergamon Press.

Mirza, U. (2012). *China at war: An encyclopedia.* Bloomsbury Academic.

子陌. (2021). 唐朝其实很有趣 [The Tang Dynasty is actually very interesting]. The Chinese Overseas Publishing House.

江增慶. (2005). 中國通史綱要 [Outline of General Chinese History]. 五南圖書出版公司.

张, 涛., & 杜, 燚博. (2021). 唐朝兵役制度和后勤制度变迁下的军事审计 [Military auditing under changes in the conscription and logistics systems in the Tang Dynasty]. 国防科技, 42(6).

于汝., & 杨希义. (1997). 唐朝论略 [A summary of the Tang Dynasty]. 军事历史研究（02）.

罗水荣. (2010). 安禄山和唐玄 [An Lushan and Emperor Xuanzong of Tang]. 华南师范大学历史文化学院.